



აკაკი შანიძე-134

პროგრამა

და

თეზისები

2021 წლის 26 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ზუმის პლატფორმაზე მართავს

აკადემიკოს
აკაკი შანიძის

ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომას
დასაწყისი 11 საათზე

ზუმის მისამართი:

<https://zoom.us/j/8316265029?pwd=Z3R6dWRseUdGYzBsbWRGV0krL1UzQT09>

Meeting ID: 831 626 5029

Passcode: 1234

რეგლამენტი 15 წუთი

შესავალი სიტყვა – დარეჯან თვალთვაძე
პრეზენტაცია ფოტოალბომი „აკაკი შანიძე -130“

მოხსენებები

შეექალა შანიძე – ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი „დავითნის“ წყაროს შესახებ
დამანა მელიქიშვილი – ქართული ზმნის „დიათეზებისა“ და „სერიების“ ერთიანი გრამატიკული სისტემა

დარეჯან თვალთვაძე – ძველი ქართული ხელნაწერი ოთხთავების სტიქომეტრიის შესახებ
ანა ხარანაული – თარგმანის მეთოდი (ორიგინალის იმიტაცია) – ბიძგი ენის განვითარებისთვის

ლელა ციხელაშვილი – ირიბი დამატების ტრანსფორმაცია პირმიუმართავ თანდებულებიან დამატებად ბიბლიის ქართულ ვერსიებში (ზაქარია და ბარუქ წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

სალომე ოშიაძე – „სამხრის სამხარი“ (სამხრის კუდი?) – აკაკი შანიძის ერთი შენიშვნის გამო
ინგა სანიკიძე – I და II პირის ნაცვალსახელთა პარადიგმის ცვლილებისათვის ახალ ქართულში

გიული შაბაშვილი – აწმყოს პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზების პირობები (მდგომარეობის სემანტიკური კლასის ზმნების ანალიზი)

თინათინ ბოლქვაძე – განსამარტავი ერთეული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (1950-1964)

რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი – ნ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში

დ. მელიქიშვილი

ქართული ზმნის ფორმათა „დიათეზებისა“ და „სერიების“ ერთიანი გრამატიკული სისტემა

1. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების "სერიებად" დაყოფის მორფოსინტაქსური პრინციპი, რომელიც აკად. აკაკი შანიძემ დაამკვიდრა, იმანენტური მეთოდით კვლევის იდეალური მაგალითია, რომელმაც გამოავლინა ქართული ზმნური შესიტყვების განსხვავებათავისებურებანი ინდოევროპული ენების ზმნურ შესიტყვებასთან მიმართებით.

სერიებად დაყოფის კრიტერიუმად აკაკი შანიძემ ზმნური ფუძის გრამატიკული სტრუქტურა აიღო, რასაც სინტაქსური კონსტრუქციაც უჭერს მხარს: **1) I სერიაში** გაერთიანებულია **R - Ø სტრუქტურის I დიათეზის** (მოქმედებითი გვარის "გადამავალი") თემისნიშნისანი და ფუძედრეკადი ცვალებადი კონსტრუქციის ზმნები **ე** გახმოვანებით და ნომინატიური კონსტრუქციით, რომლებიც უპირისპიდებიან **II სერიაში** გაერთიანებულ მარტივთემიან ფუძედრეკადთა ზმნურ ფორმებს **ი** გახმოვანებით და ნომინატიური კონსტრუქციით (*აკეთებს /დრეკს ის მას - გააკეთა მოდრიკა მან ის*); **III სერიაში** გაერთიანებულია ამავე სტრუქტურის ზმნების დატიური (ინვერსიული) კონსტრუქციის ფორმები

(გაუკეთებია/ მოუდრეკია); 2) II დიათეზის, R - ი სტრუქტურის (ე.წ. "ვნებიანი გვარის" გარდაუვალი ზმნების ფორმები (ი/ემალ-ებ-ი, თბ-ებ-ი, წითლ-დ-ებ-ი) სამივე სერიაში უცვლელი, ნომინატიური კონსტრუქციისაა.

სერების შიგნით ზმნური ფორმები დრო-კილოთა სემანტიკური კატეგორიის მიხედვითაა დაჯგუფებული.

2. ქართული ზმნური ფორმების დიათეზებად დაყოფის პრინციპიც მორფოსინტაქსურია, რის საუძვლზეც გამოიყოფა სამი მორფოსინტაქსური ჯგუფი, დიათეზა: I დიათეზაში გაერთიანებულია R - Ø სტრუქტურის სერების მიხედვით ცვალებადი, ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური კონსტრუქციის ზმნები (ა/ტრიალებს ის /მას; ა/იტრიალა მან /ის უტრილია მას; (და) უტრიალებია ის მას); II დიათეზაში ერთიანდება R - ი სტრუქტურის სამივე სერიაში უცვლელი, ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები (ტრიალდ-ებ-ი); III დიათეზაში ერთიანდება ორივე სტრუქტურის - R - Ø და R - ი სტრუქტურის სამივე სერიაში უცვლელი, დატიურსუბიექტიანი კონსტრუქციის ზმნები (უყვარს, ენატრება, აკანკალებს მას).

დიათეზების შიგნით გვარი სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გრამატიკულად არ არის მარკირებული.

3. ამგვარად, ქართული პოლიპერსონალური ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ:

3.1. თითოეული დიათეზა და სერია წარმოადგენს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მყარ ერთიანობას;

3.2. სამი დიათეზა და სამი სერია წარმოადგენს ქართული ზმნის ერთიან გრამატიკულ სისტემას, ქართული ზმნის ურთიერთდაქვემდებარებულ გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის მყარი ერთიანობით, რაც ქართული ზმნური შესიტყვების და, მაშასადამე, ქართული ენის მდგრადობის საფუძველია.

ეს სისტემა საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობის ტენდენციითა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსნება, და, რაც ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში.

4. მოხსენებაში წარმოდგენილი სქემები და გრამატიკული ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ქართული ზმნის სამ დიათეზად კლასიფიკაცია ძირითადი მორფოლოგიური სტრუქტურებისა და სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით პირდაპირ შესაბამისობაშია ქართული ზმნის სამ სერიად კლასიფიკაციასთან, რაც ქართული ზმნის როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ქვეჯგუფების სისტემური შესწავლის შესაძლებლობას იძლევა როგორც დიაქრონიაში, ასევე სინქრონიულ პერიოდში.

დარეჯან თვალთვაძე

მველი ქართული ხელნაწერი ოთხთავების სტიქომეტრიის შესახებ

სახარებათა ტექსტები თავებად და მუხლებად თავდაპირველად დანაწილებული არ იყო, ტექსტის გარკვეული ზომის ერთეულებად დაყოფა ლიტურგიკულ-პრაქტიკულმა საჭიროებამ მოითხოვა. ოთხთავის დიდ თავებად დაყოფა მიეწერება ტატანეს (II ს), ხოლო მცირე თავებად დაყოფა კი ამონიოს ალექსანდრიელს (III ს). IV საუკუნეში ამონიოსის დაყოფის სა-

ფუძველზე ევსები კესარიელმა შეადგინა ცნობილი „ათი კანონი“, ანუ ტაბულა-ცხრილები, მსგავსი ადგილების თემატური საძიებელი, რომლითაც განისაზღვრება თუ სად, რომელ ადგილზე მოიპოვება ესა თუ ის შინაარსობრივად მსგავსი ადგილები სახარებებში. ოთხთავის ხელნაწერებში *ევსების* „კანონები“, ჩვეულებრივ, ჩაწერილია კამარებში სვეტებად (დასაწყისში) და/ან სქოლიოებში. ქართულ სამწიგნობრო ტრადიციაში ხელნაწერისთვის წინ დართულ *ევსების* კანონებს „კამარების“ სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ხელნაწერის გვერდის ქვედა *აშიაზე* („პატივთა ზედა“/სქოლიოში) განთავსებულ მის მოკლე ვარიანტს, რომელიც კონკრეტულად ამ გვერდზე მოთავსებული სახარების ტექსტის თემატურ საძიებელს (*გვერდობრივ სათანხმებელს*) წარმოადგენს, ძველად „*განთესულნი*“ ერქვა.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით (ძირითადად, პრაქტიკული და ლიტურგიკული საჭიროების გამო) კრებულს გაუჩნდა ე. წ. დანართი ტექსტები (*პარატექტები*), რომლებიც მკითხველს წიგნის მოხმარებას უიოლებდა.

ძველი ქართული ხელნაწერი ოთხთავების *სტიქომეტრიისა* და დანართი ტექსტების საკითხი საგანგებოდ შესწავლილი არ არის. მოხსენებაში შევეცდებით მოვხაზოთ საკითხთა წრე, რომელიც ოთხთავის *სტიქომეტრიული* აპარატის შესწავლასთან არის დაკავშირებული და წარმოვადგინოთ 30-მდე ძველი ხელნაწერის შესწავლის შედეგად მიღებული ზოგადი სურათი, რომელიც საშუალება იძლევა ვიმსჯელოთ: რამდენად ერთგვაროვანია *სტიქომეტრიული* აპარატი წინაათონური და *პოსტათონური* პერიოდის ხელნაწერების მიხედვით; განსხვავდებიან თუ არა სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი ხელნაწერები *სტიქომეტრიული* აპარატის მიხედვითაც; უკავშირდება თუ არა ტექსტის რედაქტირების (ძირითადად, მისი „ბერძულისადა მიყვანების“) პროცესი ოთხთავის, როგორც კრებულის სტრუქტურის ცვლილებასაც და მის გამართვას „ბერძულსა წესსა ზედა“. მოხსენებაში ამ საკითხებთან ერთად განვიხილავთ *სტიქომეტრიასთან* დაკავშირებულ ზოგიერთ ძველ ქართულ ტერმინსაც.

ანა ხარანაული

თარგმანის მეთოდი (ორიგინალის იმიტაცია) - ბიბლიის ენის განვითარებისთვის

იმიტაცია თარგმნის ის მეთოდია, რომელიც სათარგმნი ტექსტის შინაარსობრივ ან ფორმალურ იმიტაციაში, მის კოპირებაში გამოიხატება. თუ ენობრივი კუთხიდან შევხედავთ, ამ სფეროში ყველაზე დიდი გამოწვევა ქართული ბიბლიის პირველმთარგმნელისათვის ბერძნული სიტყვაწარმოების ასახვა უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ამ მეთოდის გამოყენებამ ენის განვითარებაში ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა.

ორიგინალის იმიტაციის ერთ-ერთი საშუალება სათარგმნი სიტყვის სეგმენტირება და ამ სეგმენტების ქართულ ლექსიკურ შესატყვისებში ასახვა წარმოადგენს. მოხსენებაში საუბარი იქნება სეგმენტირების ხერხის გამოყენებაზე ძველი აღთქმის ადრეულ თარგმანებში.

ლელა ციხელაშვილი

ირიბი დამატების ტრანსფორმაცია პირმიუმართავ თანდებულთან
დამატებად ბიბლიის ქართულ ვერსიებში
(*ზაქარია* და *ბარუქ* წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

მოხსენება ეხება ბერძნულით განპირობებული მორფოსინტაქსური ცვლილებების ერთ ტიპს, რომელიც გამოიკვეთა *ზაქარია* და *ბარუქ* წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანისა (*ოშკისა* (O, Ath-1, 978-979 წწ.) და *იერუსალიმის* (J, Jer-11/7, XI ს.) ბიბლიებში დაცული ტექსტი) და გელათური ვერსიის (*გელათის* (G, A-1108, XII-XIII სს.), *საბასა* (S, A-51, XVII-XVIII სს.) და *ბაქარის* (B, A-455, 1743 წ. გამოცემა) ბიბლიები) შედარებისას (ლექციონარებში საკითხავების სახით შესული ტექსტები ამჯერად ნაკლებად გვანტერესებს). ორივე ვერსიის მიზანია ბერძნულიდან ზუსტად, ადეკვატურად თარგმნა, მაგრამ ძველი მთარგმნელი უფრო ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებას, სტილს, ხოლო გელათური თარგმანი მაქსიმალურად იცავს დედანთან შინაარსობრივ თუ ფორმოზრივ-სტრუქტურულ სიახლოვეს. ამიტომ ძველი თარგმანის ირიბდამატებიანი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც უფრო ბუნებრივია ქართული ენისათვის, გელათურ თარგმანში, ბერძნულის კვალობაზე, დამატების თანდებულთან კონსტრუქციით იცვლება. სინტაქსური კონსტრუქციის ცვლილება განპირობებს ზმნის სტუქტურის ცვლილებას (და არა პირუკუ), მისი ვალენტობის კლებას სინტაქსური კონტამინაციის თავიდან ასარიდებლად (*მიუძღვანეს ... იოაკიმს* [ბარ. 1:7 OJ] > *წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ* GaSB. *ἀπέστειλαν ... πρὸς Ἰωακίμ LXX*). ბერძნულიდან სიტყვასიტყვითი თარგმნა გელათის კატენებიან ბიბლიაში იშვიათად საწინააღმდეგო მოვლენის მიზეზიც ხდება: ძველი თარგმანის თანდებულთან დამატება, ბერძნულის დატივში მდგარი დამატების შესატყვისად, პირმიმართი ირიბი დამატებით იცვლება, რაც ამჯერად ზმნის ვალენტობის მატებას იწვევს (*ცყო ... ნეშტთა ამათთვს* [ზაქ. 8:11 OJ] > *უყოფ ... ნეშტთა* SB. *ποιῶ τοῖς καταλοιποῖς LXX*). ამას გარდა, მოხსენებაში განხილული იქნება ის შემთხვევებიც, როცა ზმნის ვალენტობა არ იცვლება (*გიჩუენო შენ* [ზაქ. 1:9 OJ], *გიჩუენო* SB. *δείξω σοι LXX*; *თქუა უფალმან ჩუენთვს* [ბარ. 2:7 OJ], *თქუნა უფალმან ჩუენ ზედა* GaSB. *ἐλάλησεν κύριος ἐφ' ἡμᾶς LXX*).

რადგან როგორც ძველი, ისე გელათური ვერსია ერთი ტრადიციის მატარებელი ბერძნული დედნიდან მომდინარეობს, ამასთანავე, გელათის ბიბლიის A-1108 ხელნაწერი წარმოდგენს ავტოგრაფულ ნუსხას (რაც გამორიცხავს გადამწერის ჩარევას) და ძველი თარგმანის სეკტუაგინტას ტექსტთან შედარება-შეჯერების შედეგად მიღებულ ახალ რეცენზიას, მასში ამ კუთხით შეტანილი ცვლილებები მხოლოდ მთარგმნელ-რედაქტორის თარგმანის განსხვავებული სტილითა და ტექნიკით შეიძლება აიხსნას.

სალომე ოშიაძე

„სამხრის სამხარი“ (სამხრის კუდი?) – აკაკი შანიძის ერთი შენიშვნის გამო

მთის კილოთა ლექსიკონის ბოლოსიტყვაში აკაკი შანიძე წერს: „ეს დიალექტოლოგიური ლექსიკონი მოიცავს სიტყვებსა და მათ ახსნას, რაც მოვიპოვე 1911 წლისა და 1913 წლის ზაფხულში მივლინების დროს კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის გადაღმ-გადმოღმა მდებარე კუთხეების ქართულ მოსახლეობაში. სალექსიკონო მასალა ცალკეულ ფურცლაკებზე იყო დაწერილი, გაწყობილი. ლექსიკონის სახე მან მიიღო 1978 წელს“.

ფურცლაკებიდან ლექსიკონში გადაინაცვლა მეცნიერის მიერ კითხვის ნიშნებით აღნიშნულმა ცნობებმაც, რომლებიც ავტორმა საგანგებო შენიშვნით – „მიზის კითხვის ნიშანი“ / „კითხვის ნიშნები მისხედს“ – გამოარჩია. ერთ-ერთი მათგანი ლექსემა **მელემოს** განმარტებასთან გვხვდება: „**სამხრის სამხარი**“ (სამხრის კუდი?). მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ „სამხრის სამხარზე“, „სამხართ უკანასა“ და „სამხრის კუდზე“, ასევე ამ უკანასკნელის პრეცედენტულ გამოთქმაზე „სერის კუდსა“ და მის ჩამნაცვლებელ „ოხშმის კუდზე“. განვიხილავთ მაგალითებს ფშაური და ქართლური ტექსტებიდან, რომლებშიც „სამხრის სამხარი“ დასტურდება.

ინგა სანიკიძე

I და II პირის ნაცვალსახელთა პარადიგმის ცვლილებისათვის ახალ ქართულში

ფაქტია, რომ ევოლუციის გრძელ გზაზე ნაცვალსახელთა სისტემა კონსერვატული ბუნებისა აღმოჩნდა. ფლექსიური დონის შენარჩუნებით ისინი ქართული ენის უძველესი მდგომარეობის მოწმენი რჩებიან, თუმცა ახალ ქართულში პარადიგმული ცვლილება შესამჩნევი მოცემულობაა. საქმე ის არის, რომ მიცემით [„ჩემ-ზე გაბრაზდა“], ნათესაობით [„ჩემ-თვის მინდა“], მოქმედებით [„ჩემ-ით წავიღებ“] და ვითარებით [„ჩემ-ა[დ]-მდე მოდი“] ბრუნვებში **ჩემ** ფუძიან ფორმებს პირის შინაარსი აქვთ და არა - კუთვნილებითისა; არადა კუთვნილებითის ფორმათაგან მიგრირების შემთხვევაში მათ დასახელებული ფუნქცია უნდა გამოჰყოლოდათ.

დიაქრონიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ძველ ქართულში **ჩემ**- ფუძის მიც. ბრუნვაში გამოყენების შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია [„*ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა ... ყოფად ჩემსა ზედა*“: მათე, 20]. ასე რომ, ენის ამ ქრონოლოგიურ საფეხურზე პირის ნაცვალსახელთა ჯგუფში **ზედა** და **თანა** თანდებულების გამოყენება მიც. ბრუნვაშიც გვხვდება და ამგვარ თვალსაზრისს III პირის ნაცვალსახელთა მიცემითის ფუძეზე დართული თანდებულები ამყარებს [„*და შიში დაეცა მას [ზაქარიას] ზედა*“: ლუკა, 1, 12]. ვხვდებით **ზედა** თანდებულის

მიცემით ბრუნვაში გამოყენების შემთხვევებს სხვა ჯგუფის ნაცვალსახელებზეც [„და მივიწიე ყოველსა ზედა“: ევსტათი მცხ.:52; „კუალად სხუანი აღდგეს ერთმანერთსა ზედა“: ლეონტი, 10].

ჩემ- ფუძის თანდებულიანი ფორმების მიცემითი იკვეთება რუსთველის ენაშიც. მაგ., „ვაზირობა... ჩემზედ მოუგდია“ , ანუ „ასმათის ზედ“ მოუგდია [III პირში გვექნება „მასზედ“ = ასმათ[ს]ზედ და არა - „მისზედ“]. ნათესაობით ბრუნვიანი მორფო-სინტაქსური სტრუქტურა რუსთველის ენაში ფაქტობრივ აღარ მოჩანს, რაც კიდევ ერთხელ აცხადებს იმას, რომ დასახელებულ თანდებულებს **ვინ** ჯგუფის სახელებთან მიცემით ბრუნვაში მიგრირების ეტაპი უკვე დასრულებული აქვს.

როცა თანამედროვე ენაში ითქმის: „ჩემზეა განაწყენებული“, „ჩემში დარწმუნებული არ არის“, „ჩემთან მოვიდა“, „ჩემით უნდა, რომ საქმე გააკეთოს“ საქმე პირის გაგებასთან გვაქვს და არა - ამავე ნაცვალსახელების კუთვნილებითობასთან [მაგ., „**ჩემთან** მოდის აკად. ა. შანიძე“/ „რას იტყვის **ჩემზე** შთამომავლობა“/ „არ მშვიდდებოდა **ჩემში** ... გული ვნებული“/ „რუსთაველიდან **ჩემამდე** ... წიწამურია“ — გალაკ.]. დასახელებული სტრუქტურები I და II პირის ნაცვალსახელებთან საერთოა და განხვავებას არ ქმნის.

ენობრივი მოვლენის ამგვარი განვითარების საფუძველში, ერთი მხრივ, ელიფსისის ენობრივი მოვლენა უნდა იდგეს, თუმცა არაყოველთვის. ელიფსის შემთხვევაში საზღვრული სიტყვის გამოტოვებამ სხვა რესურსი უნდა გააძლიეროს და მართლაც, მაგ., მოქმედებითში — „**ჩემ-ით** ... დაიხსენი“ [ილია] — საზღვრულის ხარჯზე მიიღწევა ფორმის მოქმედებითობა [= ჩემი საშუალებით დაიხსენი]; შეგვიძლია კი იგივე ელიფსი დავინახოთ მიცემითთან ან ვითარებითთან? გალაკტიონის ენაში დადასტურებული ნიმუშებიც — „**ჩემსავით** ჯარისკაცი არის“ [*მე-ს-ა-ვით]; „**ჩემზე** ბედნიერი არავინ იყო“ [*მე-ზე]; „რუსთაველიდან **ჩემამდე** ... წიწამურია“ [*მე-დ-მდე] — ცხადყოფს, რომ ახალი ქართულის ასეთ მორფო-სინტაქსურ კომბინაციებში ნაცვალსახელთა მხოლოდ პირის გამოხატვის ფუნქცია ამოიცინობა და კუთვნილების სემანტიკა ნიველირებულია.

ამრიგად, ძველი ქართული ენიდან დღემდე I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა — დღეს მათ ოთხ უძველეს ბრუნვაში (მიც., ვით., ნათ., მოქმ.) ფუნქციონირების ძალა აქვს. ზოგ შემთხვევაში საქმე ელიფსის ენობრივ მოვლენასთანაც რომ გვექონდეს, უფლებას არ გვაძლევს, არ დავაზუსტოთ ახალი ქართული ენის გრამატიკული აღწერა და თავი ავარიდოთ ბრუნვათა პარადიგმის ცვლილებას. ნათელია, რომ ახალ ქართულში ასეთი ფორმებიც არსებობს და პირის აღმნიშვნელ ფუძეთა ფუნქციური გაფართოებაც სახეზე გვაქვს. I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნვათა სისტემაში შემავალ ფორმათა განშლა ახალ ქართულ ენაში მასში შემავალ თითოეულ ფლექსიურ ელემენტს ეხება (გარდა წოდებითისა) და ამ კუთხით მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის, თუ არ ჩავთვლით **მე** / **ჩემ-** ფუძეთა მონაცვლეობას მხოლოდითი რიცხვის I პირში. ამგვარი თანაარსებობის საფუძველი უკვე ძველ ქართულში ფიქსირდება და ფუძეთა დამოუკიდებელი წარმომავლობა თუ მათივე ქრონოლოგიური დონე ისეთ დაბრკოლებას ვერ უქმნის ენას, რომ ისინი [**მე** და **ჩემ-** I პირის ნაცვალსახელები] ერთ სისტემაში მოაქციოს და დეფექტი ასე შეავსოს. პირის ნაცვალსახელთა ფლექსიის განვითარების ამგვარი სურათი ენის შინაგანი

ბუნებიდან და მისივე აგლუტინაციური მიდრეკილებებიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რაც, საბოლოოდ, ენობრივი კოლექტივის მიერ პარადიგმის შემადგენელ ელემენტთა სისტემატიზაციის მცდელობად და მისი განხორციელების რეზულტატად უნდა შეფასდეს.

გიული შაბაშვილი

აწმყოს პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზების პირობები (მდგომარეობის სემანტიკური კლასის ზმნების ანალიზი)

მოხსენების მიზანია მდგომარეობის ზმნების პერფექტული ფორმების ანალიზი და მათი სინტაქსური რეალიზების პირობების გამოვლენა. კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება, კერძოდ:

1. მდგომარეობის სემანტიკის ზმნები უფრო ხშირად გვხვდება დადებით კონტექსტში.
2. ამ ტიპის ზმნები ყველაზე მეტად შეიწყობენ კვანტიფიკატორულ ფრაზებსა და ზმნიზედებს.
3. განსახილველი ზმნური პრედიკატები ყველაზე ხშირად გვხვდება ფართო კონტექსტში, კერძოდ, რთულ თანწყობილ წინადადებაში.
4. ამ ტიპის ზმნები წარმატებით რეალიზდება მთავარ წინადადებაში. ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში დამოკიდებულ წინადადებაში ყველაზე ხშირად გვხვდება აწმყოს ფორმები, შედარებით ნაკლებად – წყვეტილის ფორმები.
5. მოვლენების სტრუქტურის ანალიზის პრინციპების მიხედვით, ამ ტიპის წინადადებები გვაძლევს შემდეგ დროულ მიმართებებს: $E_mq \text{ — } E_s; P_m \rightarrow P_s; E_mq \text{ — } R_s$.

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე ქართული ენის მონაცემები. კვლევისას გამოყენებულია კორპუსული და სტატისტიკური მეთოდები.

თინათინ ბოლქვაძე

განსამართავი ერთეული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (1950-1964)

მოხსენებაში განიხილება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისთვის (1950-1964) ერთეულის შერჩევისა და მისთვის შესაფერისი ფორმის მოძებნის საკითხი. სალექსიკონო ერთეულის შერჩევა წმინდა ენობრივ საკითხებთან ერთად დაკავშირებული იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნის პოლიტიკურ კონტექსტთან. ამის საილუსტრაციოდ წარმოდგენილი იქნება რამდენიმე საარქივო დოკუმენტი.

ზმნური სალექსიკონო ერთეულის ფორმის საკითხთან დაკავშირებით განიხილება ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებები და მათი კავშირი ძველ ქართულ ლინგვისტურ

ტრადიციასთან, განსაკუთრებით კი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განსამარტავი ზმნის ფორმის შერჩევის საკითხთან, რომელიც განსხვავებული მოსაზრებებისთვის იძლევა არგუმენტებსა და საილუსტრაციო მასალას. ეს კი განაპირობებულია სულხან-საბა ორბელიანის მოსაზრებებით, თანამედროვე ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, ზმნური აფიქსებისა და მორფემების თაობაზე.

რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი

ნ თანხმომის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში (საკითხის დასმის წესით)¹

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველადის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის (თბ. 2000) მიხედვით უარყოფითი ნაწილაკი **ნუ** საერთოქართველურ დონეზე აღდგება. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართულ-სვანური მასალა შეაპირისპირა თ. შარაძენიძემ, მეგრული ექვივალენტი გამოავლინა კ. ჰ. შმიდტმა, ხოლო საერთოქართველური ფუძეენისათვის ***ნუ** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა.

ნუ ნაწილაკის საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღდგენა საინტერესო პერსპექტივას შლის სხვადასხვა ოჯახის ენათა ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით. კავკასიურ ენებსა თუ ქართველურ ენათა მოსაზღვრე თურქულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებში **ნ** თანხმომის შემცველი უარყოფითი ნაწილაკი ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, **ნ** თანხმომის შემცველი უარყოფითი ნაწილაკები ფართოდაა გავრცელებული ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში.

ასეთ პირობებში ისმის კითხვა: *რა კავშირი უნდა არსებობდეს ქართველურ ენებში არსებულ უარყოფით ნუ ნაწილაკსა და ინდოევროპულ ენებში გავრცელებულ ნ თანხმომის შემცველ უარყოფით ნაწილაკებს შორის?*

თუ გავითვალისწინებთ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ცნობილ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელებს, ქართველებს და სემიტებს (ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩვენ ქართველებისა და ინდოევროპელების ურთიერთობა გვანტერესებს) ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV – III ათასწლეულების მანძილზე უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან ურთიერთობა, აღნიშნულმა საკითხმაც შესაძლებელია გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს ენათა არეალური ჯგუფების კვლევის თვალსაზრისით.

¹ მომზადებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ (#FR17_388), ფარგლებში.